საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2208

2017 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში განსახორციელებლად, ქ. თბილისის ელექტროენერგიით სტაბილური მომარაგების, საიმედოობის ამაღლებისა და პერსპექტიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ ქ. თბილისში, 220/110 კვ ძაბვის ქვესადგურის (220/110 კვ ქ/ს „თელეთი“) მშენებლობისა და მისი ქსელთან მიერთებისათვის საჭირო საქონლის სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**